

ნიკა კოპალეიშვილი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

გრენობლის მენეჯმენტის სკოლისა და კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესსადმინისტრირების ორმაგი ხარისხის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

„დღითიღვე ვრწმუნდები, რომ კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარება ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. CU საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს საერთაშორისო პროგრამით შევიძინოთ ისეთი გამოცდილება, რომელიც მთელი ცხოვრება გავყვება.“

ჩემი და გრენობლის ურთიერთობა ძალიან უცნაურად დაიწყო. უნივერსიტეტში თვალი მოვკარი GEM, Grenoble წარწერებს. დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ ეს იყო უნივერსიტეტი საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით პატარა, მთიან ქალაქში. შემდგომში გავიგე, რომ CU-ისა და GEM-ს შორის არსებობდა ორმაგი ხარისხის საბაკალავრო პროგრამა. ოჯახის წევრების მხარდაჭერით დღეს უკვე გრენობლში ვარ და საშუალება მაქვს მივიღო მაღალი ხარისხის განათლება საფრანგეთის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში. სწავლის პროცესი განსხვავებული და საინტერესოა, მორგებულია სტუდენტზე და მის მიერ დაგროვებული ცოდნის გამოყენებაზე. ეს ჩემთვის ახალი გამოწვევაა და ამ ყოველივეში ახალ შესაძლებლობებს ვხედავ. მინდა აღვნიშნო, რომ ჯგუფში დაახლოებით 15 სხვადასხვა ეროვნების ადამიანია გაერთიანებული და სწავლასთან ერთად საშუალება გვაქვს გავცნოთ ერთმანეთის კულტურას და დავხვეწოთ კომუნიკაციის უნარები‘.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლობა გრენობლის მენეჯმენტის სკოლასთან 2004 წლიდან დაიწყო, პარტნიორობა გულისხმობს როგორც საბაკალავრო ,ისე სამაგისტრო საფეხურზე ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.